პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
პარასკევი, 4 ივლისი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 539 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სა თამდე

ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

1 ივლისიდან ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“ ეღირება №--3 კაპ., თვიურად 70 კაპ.

წითელ-არმიელთათვის ნაწილში ან სოფელში მიწოდებით 50 კაპ.

გაზეთ „წითელ-არმიელის“ კანტორა.

იაპონია--საბჭოთა კავშირის ცნობის წინ.

დიდ ქარ-ცეცხლში იშვა ჩვენი პროლეტარული საბჭოთა კავშირი.

ყოველ მხრიდან გარშემორტყმული იყო იგი მტრებით. ევროპის ქოფაკი ბურჟუაზია თავს არ იზოგავდა და ცეცხლითა და მახვილით მზად იყო აღეგავა იგი დედა-მიწიდან.

შიგნით სწარმოებდა სამოქალაქო ომი. ომი, რომელსაც ხელმძღვანელობდენ მუშებისა და ღარიბი გლეხების სისხლში გასვრილი, ნიკოლოზ მეორის გენერლები. მათ ჯარის უმეტესობას შეადგენდა არამზადა ძველი ოფიცრობა.

მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა მუშის დაკოჟრებულმა ხელმა შესძლო არა მარტო შენარჩუნება მოპოებული ძალაუფლებისა, არამედ მისი გამკვიდრება და გაძლიერება.

ამას მოწმობს ის ფაქტები, რაც ჩვენ თვალის წინ ხდება.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთმა სახელმწიფოებმა, დარწმუნდენ რა, რომ ცეცხლითა და მახვილით წითელ კავშირს ვერას დააკლებენ, მუხლი მოიდრიკესმის წინაშე და იცვნეს იგი.

თავისთავად ცხადია ამ აქტს დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დღის წესრიგში მდგარ საკითხს; ეს არის იაპონიასა და საბჭოთა კავშირის შორის მოლაპარაკების დაწყება, რასაც ადრე თუ გვიან ჩვენი ცნობა მოყვება. თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ ცნობა მნიშვნელოვანი იყო, უფრო მნიშვნელოვანია იაპონიის და ჩვენს შორის კავშირის დამყარება. ეს ახალი კავშირი, რომლის დამყარების წინაშე ჩვენ ამ ახლო მომავალში უნდა დავდგეთ, იქნება კავშირი, რომელიც შეგვაერთებს აღმოსავლეთ ქვეყნებთან; იმ ქვეყნებთან რომელიც დიდი ხანია დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას საწველ ფურად ყავს გახდილი და რაც ძალა და ღონე აქვს წუწნის მას სისხლს.

ჩვენი ცნობა იაპონიის მიერ, შექმნის მჭიდრო კავშირს აღმოსავლეთში და ეს კი იქნება უტყუარი საწინდარი აღმოსავლეთის დაჩაგრულ მასის განთავისუფლებისა ევროპის ბურჟუაზიის რკინის უღლიდან.

იაპონია ს. ს. რკ-ს ცნობის წინ.

პარლამენტის სესიის გახსნაზე სიტყვები წარმოსთქვეს პრემიერ მინისტრმა კატომ და საგარეო საქმეთა მინისტრმა შიდე-ხარამ.

ს. ს. რ. კ-სთან ურთიერთობის შესახებ კატომ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა სცდილობს აღადგინოს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან. შიდე-ხარამ აღნიშნა, რომ იაპონიისა და ს. ს. რკ-ს საერთო ინტერესები მოითხოვენ ამ ორ სახელმწიფოს შორის მეგობრულ კავშირს, მაგრამ არსებობს სხვა და სხვა საყურადღებო საკითხები, რომლებიც მოგვარებულ უნდა იქნას.

თუ რომ ეს საკითხები არ იქნება წინასწარ მოგვარებული, იმ შემთხვევაში საკითხი დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ ს. ს. რკ-სთან გართულდება არა-სასიამოვნო უთანხმოებით.

უკანასკნელ დროს ყოფილმა კაბინეტმა ოფიციალური მოლაპარაკება დაიწყო პეკინში, მაგრამ იაპონიის კაბინეტის ცვლილებების გამო მოლაპარაკება შეწყვეტილ იქნა.

ახალ კაბინეტს განზრახვა აქვს განაგრძოს მოლაპარაკება და იხმაროს ყოველი ღონის ძიება, რათა საკითხი გადაჭრილ იქნას დამაკმაყოფილებლად.

გერმანიის საპასუხო ნოტა.

პარიზში მყოფ გერმანიის ელჩმა გეშმა გადასცა ერიოს გერმანიის მთავრობის პასუხი ინგლისის და საფრანგეთის ნოტაზე სამხედრო კონტროლის განახლების შესახებ. ნოტაში ნათქვამია, რომ გერმანია არავითარ მზადებას არ აწარმოებს და არავითარი საომარი განზრახვა მას არ აქვს. გერმანიის ხალხი მეტად დატანჯულია მოკავშირეთა მტრული პოლიტიკით. მას სრულებით არ შეუძლია ამ ჟამად შეიარაღებული კონფლიქტის გამოწვევა. შემდეგ, გერმანიის პასუხში ნათქვამია, რომ გერმანია თანახმაა საკონტროლო კომისიის მუშაობაზე პოლიტიკურ მდგომარეობის შეცვლის გამო.

მაგრამ ის იმედოვნებს, რომ ეს კონტროლი განხორციელებულ იქნება ერთა ლიგის და არა მოკავშირეების მიერ. გერმანიის მთავრობა მოითხოვს, რომ კონტროლი გათავებულ იქნას 30 სექტემბრისთვის.

პრესის აზრი ნოტის შესახებ.

გერმანიის მთავრობის ნოტას სკეპტიკურად შეხვდა პრესის ნაწილი. ზოგიერთი გაზეთები ეჭვის თვალით უცქერიან გერმანიის შეთანხმებას.

მემარჯვენე გაზეთებს ირონიულად მოჰყავთ ნოტის ცალკე ადგილები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ეხებიან კონტროლის გადაცემას ერთა ლიგაზე.

მემარჯვენე პრესა მოითხოვს, რათა საფრანგეთის მთავრობამ მიიღოს სიფრთხილის ზომები, გამოარკვიოს გერმანიის გეგმები და განახორციელოს სასტიკი კონტროლი, ვინაიდან ამაზედ იქნება დამოკიდებული მშვიდობიანობის დამყარება.

მემარცხენე გაზეთები, თუმც აღნიშნავენ, რომ ნოტა ვერ არის სავსებით ნათელი, მაგრამ მისაღებია.

საერთოდ ნოტას დაუნდობლად უცქერიან. მთავრობის პრესა გამოსთქვამს აზრს, რომ არ შეიძლება დავენდოთ გერმანიის მთავრობის გულწრფელობას.

მხოლოდ „იუმანიტე“ სამართლიანად აცხადებს, რომ შტრეზემანმა დაუთმო ერიოს და მაკდონალდის მოთხოვნილებებს, რადგანაც სურდა ექსპერტთა გეგმის განხორციელება. გაზეთი აყენებს კითხვას—აღმოაჩენს თუ არა სამხედრო კონტროლი ფაშისტურ ორგანიზაციებს, რომელიც აწარმოებს ბრძოლას გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინააღმდეგ და ეწინააღმდეგება ექსპერტთა გეგმის განხორციელებას

ახალი პროვოკაცია.

შტუტგარდის პოლიციამ გამოაქვეყნა ცნობა, თითქოს მას აღმოეჩინოს კომუნისტების იარაღისა და ამაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობები. დაპატიმრებულია 10 კომუნისტი, მათ რიცხვში—2 ქალი.

სამხედრო კონტროლი.

გენერალ ნოლლეს მოადგილე.

საფრანგეთის მთავრობამ დანიშნა გენერალ ვალში საკავშირო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ გერმანიაში.

კომინტერნის მეხუთე კონგრესი

2 ივლისის დილის სხდომა.

ფაშიზმის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ბორდიგა, რომელიც ამბობს: „გასული წლის შემთხვევებმა გაამართლეს მე-4 კონგრესის აზრი ფაშიზმის შესახებ. იტალიის ფაშიზმი, როგორც ჰგონიათ, არ არის წვრილ მიწის მეპატრონეთა მოძრაობა. ფაშიზმი არის ერთიანი ფრონტი მსხვილ მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის. ფაშიზმს არ აქვს თეორია და პროგრამა და ის წარმოადგენს კონსერვატიულ მოძრაობას. ფაშიზმი ჰქადაგებს სამოქალაქო მშვიდობიანობას, რაიც ეწინააღმდეგება მათ პოლიტიკას.

ფაშიზმის განმტკიცების დღიდან დაიწყო სისხლის მღვრელი შეტაკებები რევოლიუციონურ მუშებთან და გაძლიერდა კომუნისტების დევნა.

იტალია განიცდის მწვავე ეკონომიურ კრიზისს. 8 საათის სამუშაო დღე დარღვეულია. ხელფასი ეცემა. ბინის ქირა იზრდება. გლეხთა მდგომარეობა უარესდება გადასახადებით.

სამხრეთ იტალიაში მოხდა გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები. ფაშიზმის შიგნით იბრძვის ორი მიმდინარეობა: პირველი მოითხოვს სახელმწიფო აპარატის დაცვას, მეორე—ფაშიზმის დიქტატურის გაძლიერებას.

მატეოტის მკვლელობის შემდეგ კომუნისტებმა მოითხოვეს ფაშისტური დიქტატურის გაუქმება. კომპარტიის ამოცანაა—გააძლიეროს თავისი გავლენა მასებში.

შემდეგ ამხ. ბორდიგა მხარს უჭერს რევოლიუციონურ მუშურ-გლეხურ მთავრობას და არა რეფორმისტებთან კოალიციას. ბურჟუაზიას არ შეუძლია აწარმოოს ნამდვილი ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ. ამას შესძლებს მხოლოდ რევოლიუციონური მოძრაობა.

თავმჯდომარე კითხულობს წყნარ ოკეანეს ტრანსპორტის მუშებისაგან კონგრესის სახელზე გამოგზავნილ მისალმების დეპეშას.

2 ივლისის საღამოს სხდომა.

თანამომხსენებლად ფაშიზმის შესახებ გამოდის ამხ. ფრეიმუტი (გერ. წარმომ.), რომელიც ამბობს: „ფაშიზმი წარმოიშვა, როგორც რეაქცია რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ საომარ პერიოდის შემდეგ.

ფაშიზმის სახით ბურჟუაზია აერთიანებს მთელ კონტრრევოლიუციონურ ძალებს სოციალურ რევოლიუციის ჩასახშობად.

ამხ. ფრეიმუნტი შეეხო გერმანიის ფაშიზმის ისტორიას და ასწერა ნაციონალისტური და ტევტონთა პარტიის მოძრაობა, გაარჩია გერმანიის ფაშისტების პროგრამა. ფაშიზმის დამარცხება შეიძლება გაცხარებული ბრძოლის გზით. კომპარტიის ტაქტიკა გალლეში და ფიურსტენვალდში იყო სწორი, რომელმაც აღნიშნა ფაშიზმის გაერთიანება სახელმწიფო აპარატთან.

კომპარტიის მთავარი ამოცანაა ფაშისტების საქმიანობის გამოაშკარავება პარლამენტში, წვრილ მესაკუთრე გლეხობასა და მოსახლეობის შორის პროპაგანდის გაძლიერება, ბრძოლა ვერსალის ხელშეკრულებისა და ექსპერტთა პროექტის განხორციელების წინააღმდეგ, და სახალხოდ განხილვა საკითხისა ფაშიზმის შესახებ.

ბორდიგას და ფრეიმუტის მოხსენებების გარშემო კამათი არ იმართება.

საკითხი ფაშიზმის შესახებ გადაეცემა კომისიას.

იტალია.

ოქროს ჯილდო მუსოლინს.

ერთა ლიგის კონგრესმა ფიუმეში აირჩია მუსოლინი ლიგის საპატიო თავმჯდომარედ და მიუსაჯა მას ოქროს ჯილდო.

მუსოლინის ახალი „კაბინეტი“

რომიდან მიღებულ ცნობით, მუსოლინის „ახალ“ კაბინეტში შევიდენ 3 ლიბერალი და 1 კათოლიკე.

იტალიის ჯარების დამარცხება.

სტამბოლიდან მიღებულ ცნობით, იტალიის ჯარებმა სასტიკი დამარცხება იგემეს ტიპოლში. იტალიის კოლონიათა მინისტრი უარყოფს ხმებს დამარცხების შესახებ.

მატეოტის მკვლელობის გარშემო.

გვამის ძებნა შესწყვიტეს.

უნაყოფო შედეგების გამო, თავი გაანებეს მატეოტის გვამის ძებნას.

ვექილი უარს ამბობს ბრალდებულის დაცვაზე.

რომიდან იუწყებიან, რომ არც ერთი იტალიელი დამცველი არ თანხმდება თავს იდოს მატეოტის მკვლელის—დუმინის დაცვა.

ჯიაკომო მატეოტი

იტალიის სოციალისტური პარტიის მდივანი და პარლამენტის წევრი, რომელიც მოჰკლეს ფაშისტებმა.

საფრანგეთის კომპარტიის გაზეთ „ლ-იუმანიტე“-ს (15 ივნისი) მოჰყავს იტალიის კომუნისტურ გაზეთ „უნიტა“-დან შემდეგი ცნობები მოკლულის შესახებ.

„ჯიაკომო მატეოტი იყო შეურიგებელი მტერი ფაშიზმის, რომლის



ჯიაკომო მატეოტი.

წინააღმდეგ ის იბრძოდა თავიდანვე. ამის გამო ფაშისტების მთელი რისხვა მიმართული იყო მის წინააღმდეგ და ის ამოღებული ყავდათ ნიშანში.

თავის არაჩვეულებრივ მჭერმეტყველობით ის ილაშქრებდა იმ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელსაც ხმარობდენ მუშების მიმართ მემამულეებისა და მრეწველების ფაშისტური დამქაშები. მატტეოტი მთელი ძალითა და ენერგიით ებრძოდა მუსოლინის რეაქციონურ პოლიტიკას და ამავე დროს სოციალისტური პარტიის რიგებში არაჩვეულებრივი გაბედულებით ილაშქრებდა იმ მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომელიც იდგა მუსოლინისთან თანამშრომლობის ნიადაგზე. მისი უკანასკნელი სიტყვა, წარმოთქმული პარლამენტში წარმოადგენდა საბრალმდებლო აქტს იმ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინა მუსოლინიმ უკანასკნელი არჩევნების დროს. მას განზრახული ჰქონდა, მისი მოკვლის წინა დღეებში, გამოსულიყო პარლამენტში ახალი დასაბუთებული საბრალმდებლო სიტყვით მთავრობის წინააღმდეგ ბიუჯეტის საკითხის შესახებ. აი, სწორეთ ამ ბრძოლისათვის ფაშისტების წინააღმდეგ მას სდევნიდენ და მთელი ფაშისტური პრესა ინსინუაციებს ავრცელებდა მის შესახებ. დევნილი თავის მშობლიურ ქალაქიდან, ის რამოდენიმეჯერ იყო გალახული. გესლიანმა კამპანიამ მის წინააღმდეგ დაბოლოს გამოიღო ნაყოფი“.

ინგლისი.

თემთა პალატაში.

საკითხი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

2 ივლისს მაკდონალდმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს შემოიღოს კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. მისი განცხადებით კანონი შეიძლება არ იქნას მიღებული შემოდგომამდი.

მაკდონალდი თავდასხმის წინააღმდეგ ხელშეკრულების შესახებ.

თავდასხმის წინააღმდეგ მოლაპარაკების შესახებ, მაკდონალდმა განაცხადა, რომ ამ საკითხის შესახებ აზრი გამოსთქვეს მხოლოდ ესტონეთმა, ლატვიამ, ფინეთმა, ბელგიამ ბულგარეთმა და საბჭოთა კავშირმა

ბულგარეთმა და ლატვიამ მოიწონეს ხელშეკრულების პროექტი, საბჭოთა კავშირი კი წინააღმდეგ წავიდა. რაც შეეხება ბრიტანეთის მთავრობის პოზიციას, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებს ამ საკითხში დომინიონებთან, მაკდონალდს არავითარი აზრი არ შეუძლია გამოსთქვას ჯერ-ჯერობით.

მაგრამ პრემიერმა განაცხადა, პალატის მუშაობის შეწყვეტამდი, მთავრობა გამოსთქვამს აზრს ამ საკითხის შესახებ.

საკითხი კერძო სესხის შესახებ.

უცხო სახელმწიფოთა სესხის შესახებ, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პანსონბიმ განაცხადა, რომ კერძო პირებმა თავისთვის უნდა გამოარკვიოს, რა მიზნისთვის აძლევენ ისინი სესხს უცხო სახელმწიფოს.

რამდენადაც შეუძლია მთავრობას მოახდინოს ამ შემთხვევაში თავისი გავლენა, იმდენად, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის უცხო სახელმწიფოს მიერ სესხის აღებას, თუ მას შეიარაღების მიზანი აქვს.

გერმანია

გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში.

ლიგის . რეზოლიუცია.

ლიონიდან მიღებულ ცნობით, ერთა ლიგის წლიურ სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია გერმანიის შესვლის შესახებ ერთა ლიგაში.

გერმანიას ენიჭება მუდმივი ადგილი ლიგის საბჭოში.

პოლონეთისა და რუმინეთის დელეგატებმა პროტესტი განაცხადეს ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ.

საბჭოთა ფედერაციაში

პროფინტერნის კონგრესისათვის.

პროფინტერნის კონგრესზე თავი მოიყარა დელეგატებმა მრავალი სახელმწიფოებიდან.

მათ რიცხვში არიან ჩინეთისა და კუნძულ იავას წარმომადგენლებიც.

შეღავათი ექსკურსანტებს.

გზათა სახალხო კომისარიატის დადგენილებით ექსკურსანტებს ეძლევათ რკინის გზის ბილეთები 50 პროც. დაკლებით.

მასწავლებელთა დემონსტრაციები მოსკოვში.

მოსკოვის მაზრის მასწავლებელთა კონფერენცია მთელი თავისი შემადგენლობით გაემართა ლენინის საფლავისაკენ. აქ დახრილ დროშების ქვეშ დემონსტრანტებმა იმღერეს „თქვენ მსხვერპლად დაეცით“. დემონსტრაცია ჩატარდა შემდეგი ლოზუნგით: „უფრო ახლოს მუშათა მასებთან, უფრო ახლოს სოფელთან.“

ჩვენი უმაღლ. სასწავლებლების სტუდენტები ინგლისში.

ინგლისში მყოფი რსფსრ-ს 25 სტუდენტი, რომელთაც ხელმძღვანელობს ინგლის მუშა-მოგზაურთა ასოციაცია, ლონდონს გარდა ინახულებენ შეფფილდს, მანჩესტერს, ლივერპულს, და სხვა ქალაქებს, მათი მიზანია წარმოების შესწავლა, მუშათა განათლებისა და ინგლისის მუშათა ყოფა-ცხოვრების გაცნობა.

ლონდონში, სსრკ-ს სტუდენტობის სახელით, ექსკურსია შეამკობს კარლ მარქსის საფლავს გვირგვინით.

უზრუნველყოფა სათესლე ხორბლეულით.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო ზომები, რათა ადრიანად უზრუნველჰყოს მოუსავლიან რაიონების მოსახლეობა თესლეულობით. სათესლე ხორბლის 80 პროც. უნდა გადაგზავნილ იქნას ადგილებში 1-ლ სექტემბრისათვის, დანარჩენი არა უგვიანეს 10 სექტემბრისა. სათესლე პორბალი მიეცემათ შეღავათიან პირობებში.

200 მილიონი გასული წლის 6 მილიონის ნაცვლად.

თურქ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, ამხ. ისლამოვმა მოხსენებაში თურქესტანის ცეკას პლენუმის სხდომაზე განაცხადა, რომ თურქესტანის სასოფლო მეურნეობის პროდუქცია ადის 200 მილიონ მანეთამდი გასული 6 მილიონის ნაცვლად. მავნებლებთან ბრძოლა წარმატებით მიდის.

კალიიდან განთავისუფლებულია 57.000 დესიატინა.

ხორბლეულის პროდუქტ. გადაგზავნა.

საშინაო ვაჭრობის კომისარიატმა გაანაწილა პენზის, ტამბოვის, ცარიცინის, სამარის და ორენბურგის მხარეებში გადასატაიად 200.000 ფუთი ხორბლეულის პროდუქტებისა.

სამ გირვანქიანი სეტყვა

კრასნოგოროდის ოლქში გადაიარა უმაგალითო სეტყვამ. ზოგიერთი სეტყვა ადიოდა წონით სამ გირვანქამდი.

განადგურებულია ნათესის დიდი ნაწილი. დახოცილია მრავალი საქონელი.

რადიო ყოველ მხრიდან

სუდანის დამოუკიდებლობა.

ქაირიდან მიღებულ ცნობით, ზაგულფაშამ განაცხადა ეგვიპტის პარლამენტში, რომ ის სცდილობს შეინარჩუნოს ძალა-უფლება და მიაღწიოს ეგვიპტისა და სუდანის დამოუკიდებლობას.

იტალიის პრესის აზრით ზაგულფაშის გადადგომა გაართულებდა ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტს სუდანის საკითხის გარშემო. მაგრამ მდგომარეობა მაინც მწვავე ფორმაში რჩება.

მდგომარეობა მაროკოში.

მადრიდიდან იუწყებიან, რომ ესპანელთა მდგომარეობა მაროკოში გაუარესდა. ტეტუანის სამხრეთით გროვდება დიდძალი კობილები. უკანასკნელ შეტაკების დროს ლამოფლუსთან ესპანელებს დაეხოცათ 20 კაცი.

საფრანგეთიდან მიღებულ ცნობით დაიწყო ესპანეთის ჯარების ოპერაციები მოროკოს დასავლეთ ზონაში. პირველ ივლისს, შეტაკების დროს დაიჭრა 8 ოფიცერი, და დაჭრილ ჯარისკაცთა რიცხვი ასამდი აღწევს.

ესპანეთის ოფიციალურ ცნობების თანახმად რიფები უტევენ ტაცცას (მაროკოს ესპანეთის ზონა) სიმაგრეს. ტეტუანის რიონში ამ ნიადაგზე დიდი მღელვარებაა.

შეერთებული შტატები და ჩინეთი.

ამერიკის მინის ჩამწყობი ნავი გამოვიდა გონკონგიდან ხეიტუაში, ამერიკის მისიონერის მკვლელობის გამოსაძიებლად.

აფეთქება მაღაროებში.

გალიფაკსის (ამერიკაშია) მაღაროების აფეთქების დროს დაიღუპა 74 მაღაროს მუშა.

სახაზინო ქონება არ უნდა გავფლანგოთ.

(საუბარი წითელ არმიელთან).

ალბათ თითეულ თქვენთაგანს წაკითხული ექნება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ცნობები მის შესახებ, რომ ზოგიერთი ჩვენთაგანი სახაზინო ქონებას ფლანგავენ და ამიტომ სასამართლოში არიან მიცემული. ასეთივე არა სასურველ ამბებს იწერებიან ნაწილების სამხედრო კორესპონდენტებიც.

ყველა ეს მაჩვენებელია მის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ კარგათ ვერ შეგვიგნია სახაზინო ქონების გაფლანგვის ცუდი მხარეები.

ჩვენ ყველა გლეხისა და მუშის შვილები ვართ. ყველამ კარგათ ვიცით ის ცუდი შეხედულება სახაზინო ქონებაზე, რომელიც გლეხობის უმეტესობას ქონდათ. ვიცით ის, რომ გლეხი, რომელიც ერთ წკირსაც კი არ წაიღებდა სხვისას, სახაზინო ტყეში ვეებერთელა ხეს მოჭრიდა; ანდა აიღებდა ნებართვას ერთი საყავრეხის მოსაჭრელად—მოსჭრიდა ორს, სამს და მეტს. ასეთ გლეხისათვის რომ გეკითხა რათა სჩადიხარ ასეო გიპასუხებდა: „სახელმწიფო ტყე არისო“ იყო თუ არა ის გლეხი მართალი?

არა. არ იყო და აი რატომ.

ტყე, რომელიც ხაზინაზე ითვლება ის არ შეადგენს ერთი პირის საკუთრებას. იგი მთელ ხალხს ეკუთნის; მაშასადამე იგი ეკუთნის თითეულ ჩვენგანს. როდესაც ჩვენ ასეთ საერთო ქონებას სხვის ქონებათ ვუყურებთ ეს შეცდარი აზრია. თუ ჩვენ უთავბოლოთ და სათანადო დაწესებულების ნება დაურთველათ ვსჭრით ტყეს ეს საკუთარი თავის ღალატია. საკუთარ თავს კი ჭკუაში მყოფი კაცი არ უღალატებს, ასევე ითქმის ჩვენზედაც, როდესაც ჩვენ ვფლანგავთ მას რაც ჩვენ ნაწილში მოგვცეს ჩასაცმელად და დასახურავად, ანდა მოსავლელად და შესანახად. ტანსაცმელ—ფეხსაცმელი, რომელსაც ჩვენ ნაწილებში გვაძლევენ შეადგენს ხაზინის კუთვნილებას. იგი გვეძლევა ჩვენ, რომ ჩავიცვათ და ტიტველი არ ვიაროთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ბაზრათ გატანა და გაყიდვა. სახაზინო ტანსაცმელი შეადგენს ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საკუთრებას.

ჩვენ მოწვეულნი ვართ ამ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაცვისათვის. ეს მუშურ-გლეხური სახელმწიფო გვაცმევს და გვაჭმევს ჩვენ. და თუ თითეული ჩვენთაგანი ნაწილში მიღებულ ტანსაცმელ--ფეხსაცმელს ბაზარზე გამოიტანს და ჩარჩებს მიყიდის, ამით ის ჩაიდენს ბოროტებას საკუთარი თავის წინაშე. საკუთარი თავის წინაშე იმიტომ, რომ სახაზინო ქონება არის ჩვენი ქონება.

მის შეძენაში დახარჯულია არა რომელიმე მდიდრის ჯიბიდან ამოღებული ფული, არამედ ჩვენი ღარიბი მამების დახეული ჯიბიდან, იგი შეძენილია ჩვენს მიერ არჩეულ მუშურ-გლეხური მთავრობის მიერ.

რასაკვირველია ყველა ჩვენთაგანი არ ჩადის ასეთ ბოროტებას.

მაგრამ სამწუხაროა ერთი შემთხვევაც კი. ჩვენ ყველა უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი ბოროტება ძირიან-ფესვიანად მოისპოს,—ჩვენს რიგებში მას ადგილი არ ქონდეს. წითელ-არმიელის სახელი ეს იმდენად საამაყებელი სახელია, რომ მისი გაჭუჭყიანება ქურდობით დაუშვებელია.

მაშ ყველა ისე როგორც ერთი და ერთი ისე როგორც ყველა ვეცადოთ შევიგნოთ და შევითვისოთ, რომ სახაზინო ქონების გაფლანგვა საკუთარი ქონების გაფლანგვაა.

იგი საკუთარი თავის ღალატია, ღალატია მუშურ-გლეხური მთავრობის და მთელი ჩვენი ქვეყნის ღარიბ-ღატაკ გლეხობის და მუშების.

პ. ბ—ძე.

ჩვენი წითელი კუთხე

წითელი ყაზარმა ჩვეულებრივად ამოქმედდა.

ახალწვეულების მოსვლამ კვლავ სიცოცხლე და მხიარულება შემოიტანა ყაზარმაში.

დროებით შეჩერებული მუშაობა კვლავ გაცოცხლდა. ახალი ენერგია, ახალი ინტერესი და სიცხოველე— აი რა ახასიათებს ამ ჟამად ჩვენს ყაზარმებს.

პოლიტ საათი, კულტურული მუშაობა—წერა-კითხვის შესწავლა და სამხედრო მეცადინეობა ერთი ერთმანეთს სცვლის.

ყველგან ჩანს წითელ არმიელების განსაკუთრებული გულის ყური და ცოდნის შეძენისათვის უსაზღვრო სურვილი.

პოლიტ საათსა და კულტურულ მეცადინეობის დროს სამუდამოდ იდევნება მათ გონებაში მოკალათებული ცრუმორწმუნოების ნაშთები.

ამ მხრივ პირველი ლეგიონის ბევრ წითელ არმიელის ხსოვნაში სამუდამოდ აღიბეჭდება ერთ-ერთი პოლიტ საათი სადაც ახალწვეულების წინაშე გამოტანილი იქნა სამღვდელოების სიცბიერე.

ბევრი წითელ არმიელი აქნევდა თავს ამ საუბრის დროს და გულწრფელად ნანობდენ, რატომ აქამდე არ ვიცოდით ხუცების ასეთი საქციელიო.

— ეხლა კი ვეღარ მოგვატყუებს და, —

— აი დედი ჩემის ღმერთსა, რატომ სოფელში, რომ ვიყავი მაშინ არ ვიცოდი ეგეები? ამბობს ერთი წითელ არმიელთაგანი—რამოტონა ტაბლებსა ჰკრებდა ის წვერებ გასაპუტავი? საიქიოს თქვენს მიცვალებულებს წაადგებაო.

— თუ ხუცესსო — გამოეხმაურა მეორე.

ჰაი, ჰაი რომ ხუცესს ადგებოდა.

— თუ ცოცხალი დავბრუნდი მევიცი—თორემ და შერჩეს.

წითელ არმიელებმა შეგნებულად გვერდი აუხვიეს სარწმუნოებას.

სამხედრო მეცადინეობა ნაყოფიერად მიმდინარეობს, აქაც ისეთივე ენერგიას და ცნობის მოყვარეობას იჩენენ არმიელები, როგორც სხვა დარგში.

ალჩიკი.

ხშირად ასეთი სტუმრები.

მზემ გადაიხარა. მისი სხივების მცხუნვარება ოდნავ შენელდა. დაქროლა ნელმა სიომ და გულიც გაუთამამდა სუნთქვას.

ამოძრავდენ გულ გაღეღილი წითელ არმიელები და გაჩაღდა მასლაათი.

მოულოდნელად გაისმა შეძახილი—აქა ვარ-გამოეხმაურა ჩვენი მორიგე და თან ელვის სისწრაფით გაეშურა გარეთ.

ასეულის შესავალთან გაჩერებულიყვნენ ქართული დივიზიის რევ-ტრიბუნალის თავმჯდომარე ამხ. ს. ლომიძე და ჩვენი პოლიტ-ხელი მაჩიტაძე.

მორიგე საჩქაროდ გაეშურა მათკენ და ჩვეულებრივად მიესალმა.— შენა ხარ მორიგე?—შეეკითხა მიმსვლელს ამხ. ლომიძე.

— დიახ მე გახლავართ-იყო პასუხი.

ხომ მშვიდობაა ასეულში?

— ყველაფერი წესრიგზეა ამხანაგო უფროსო!

ასეულის ყაზარმაში შემავალ სტუმარს მხედრულ წესით შეეგება დღიური.

იქვე ამხ. ლომიძემ თვალი მოჰკრა ჩვენს კედლის გაზეთს. ეტყობოდა რომ ის სიამოვნებით ათვალიერებდა ჩვენს შემოქმედებას. მან ჩამოიარა მთელი ასეული და განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებდა ყველაფერს. შეავლო თვალი წითელ კუთხეში მოთავსებულ რევოლიუციის ბელადების სურათებსაც.

— ყოჩაღ ბიჭებო, ყოჩაღ! აი ასე მუყაითად მოეკიდეთ საერთო საქმეს და იცოდეთ სულ კუდით ქვას ვესროლიებთ ჩვენს მტრებსო-შემოგვძახა ამხანაგმა სერაპიონმა.

შემოეხვიენ წითელი არმიელები. მანაც გაბართა საუბარი. მოგვიყვა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეების შესახებ, სად უფრო დაწინაურებული ხალხი კულტურულად— სად როგორი სამეურნეო მდგომარეობაა და მრავალი სხვა.

შეეხო წითელი არმიელის მოვალეობას სოფელში დაბრუნების დროს, თუ რა უნდა ვაკეთოდ და როგორ უნდა ვიმოქმედოთ.

ეს საუბარი არას დროს არ წაიშლება ჩვენი ხსოვნიდან.

თბილი გრძნობა, მზრუნველობა ჩვენზე, მშრომელთა ბედით დაინტერესება ნათლად გამოსჭვივოდა ამ საუბარში.

რა კარგი იქნება, რომ ხშირად გვესტუმრებოდეს ამხ. ლომიძე. ის ყოველთვის ძვირფასი სტუმარი იქნება ჩვენთვის ამ საუბრის შემდეგ.

ლაკბის პირელი.

პარტიული მუშაობის ფრონტზე.

საკავშირო ასეულში 27 ივნისს პირველად მოხდა კომუჯრედის ღია გაერთიანებული კრება ახალწვეულებთან.

მრავალი საყურადღებო საკითხები იყო გასარჩევი.

კულტშეფობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მონიავამ. მან მოკლედ და ნათლად აღნიშნა წითელ არმიელების კულტურული მუშაობის მნიშვნელობა სოფლად.

მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი. ბოლოს მომხსენებლის წინადადებითვე არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა იზრუნოს სოფლებსა და ნაწილის შორის დაახლოების შესახებ.

ასეთივე ყურადღებით და ინტერესით იქნა მოსმენილი მოხსენება საერთაშორისო რევოლიუციონერთა დამხმარე საზოგადოების შესახებ („რემედას“),

მოხსენებაში ცხადათ იქნა განმარტებული აღნიშნული ორგანიზაციის მიზნები და მნიშვნელობა.

მიღებული იქნა წინადადება— დაარსდეს განსაკუთრებული უჯრედი სადაც „რემედას“ წევრებად ჩაეწერებიან წითელი მოლაშქრეები.

ამ საკითხების განხილვის შემდეგ ეთხოვა ყველა უპარტიო ამხანაგებს დაეტოვებიათ კრება.

გაიხსნა კომუჯრედის დახურული სხდომა, სადაც უნდა გარჩეულიყო შემდეგი საკითხები:

კომკავშირის უჯრედის დაარსება და ახალგაზრდათა კომკავშირის მეშვიდე ყრილობისათვის მისალმების შემუშავება.

კომკავშირთა ყრილობისათვის მისასალმებელი წერილის შედგენა მიენდო ამხ. მაჩიტაძეს და მონიავას. უჯრედის დაარსება კრების წინადადებით გადადებული იქნა შემდეგისათვის, როდესაც ბანაკში თავს მოიყრიდა ნაწილის ყველა წითელი მოლაშქრეები.

სერმონია.

რაზმედ ვწერენ

მართალია ამხ. წყნარის შენიშვნები?

გაზ. „წითელ-არმიელის“ № 534-ში მოთავსებულია ამხ. წყნარის წერილი შემდეგი სათაურით: „მოუარეთ ცხენებს“!

წერილს მიზანში აქვს ამოღებული საკავშირო ასეულის სამნეო ნაწილი.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ დაუმსახურებულია ამხ. წყნარის საყვედურები.

დივლაზარეთის სამნეო ნაწილი არა თუ ასეთი საყვედურის, არამედ დიდი მადლობის ღირსია, მისი ენერგიული მუშაობისათვის. სამნეო ნაწილი სინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას და ეს იმ დროს, როდესაც დივლაზარეთს დიდი ხანია რაც შეფი აღარ ყავს და მთელი სიმძიმე თავზე აწევს სამნეო ნაწილს.

წყნარის შენიშვნები თითქმის ყველა უსაფუძვლო და ყალბია.

ის სწერს თითქოს ცხენებისათვის იატაკი თიხით არ იყოს მოგებული. მტკნარი სიცრუეა. ამ მხრივ ჩვენთან ყველაფერი თავის რიგზეა. ცხენები უდროვო დროს ჰიხვინებენო—რა გულუბრყვილობაა—ნუ თუ შესაძლებელია რომ ცხენებს შეიძლებოდეს დაუნიშნოთ ჰიხვინის დრო და როცა ჩვენ არა გვსურს არ დაიჰიხკინონ.

მესამე-ცხენებმა კედელი გამოანგრიეს, ასტეხებს ჩხუბი და ავადმყოფებს მოუხდათ მათი დამშვიდებაო. ესეც არ შეეფერება სიმართლეს. მართალია იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ თვით წ. არმიელებმა დაამშვიდეს ცხენები და არა ავათმყოფებმა. თვით წყნარმა მხოლოდ მეორე დღეს გაიგო ეს ამბავი. ადგა და უსაქმობის გამო გასჭიმა გაზეთში წერილი. გაზეთში წერას ყველა შესძლებს, მაგრამ ისიც საჭიროა ახსოვდეს ამხ. წყნარს, რომ სიმართლის დაცვა უფრო პატიოსანი საქციელია. სირცხვილია უსაქმობის გამო ჭორიკანაობა დაიწყო კაცმა და ისიც წითელმა მოლაშქრემ.

ლაშის ღელელი.

ქართული ლაშქრის კოოპერატივის „ევკოგრუზის“ 1924 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე მუშაობის მოკლე მიმოხილვა.

კოოპერატივი ემსახურება: 1 და 2 ქართულ დივიზიებს, საქართველოს სამხედრო კომისარიატის, თბილისის საკომენდანტოს და საქართველოს განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების შემადგენლობას. ა. წ. 1 იანვარში კოოპერატივში ითვლებოდა 7945 წევრი, რომელთა რიცხვი 10 მაისამდე ავიდა 9033 რიცხვამდე ე. ი. გაიზარდა 13,6 პროც.

გამგეობამ საერთო წესის მიხედვით გადასწყვიტა თავისუფალ წევრობაზე გადასვლა. თავისუფალ წევრობის კომპანიის ჩატარება ჯერ არ დამთავრებულა იმ მიზეზის გამო, რომ ამ დადგენილებას მოჰყვა 1901 წელში დაბადებულთა დემობილიზაცია, რამაც გამოიწვია ჩვენი ორგანიზაციის სტრუქტურის გამო მექანიკურად წევრობიდან გასვლა დემობილიზაციაში მოხდენილთა.

საწევრო გადასახადი დაწესებულია 15 კაპ. და საპაიო სამი მანეთი, რომელთაც იხდიან ნაწილობრივ. წითელ მოლაშქრენი საპაიოს არ იხდიან—მათი საწევრო, თანახმად წესდებისა, იფარება საშეფო შემოწირულებიდან გადმორიცხული 10 პროც. და საპაიო თანხაში გადარიცხული შარშანდელი მოგებიდან. კოოპერატივს 1 ივნისისათვის ა. წ. აქვს თანხები: ა) საპაიო--4.771 მ. 97 კ. ბ) საბრუნავი თანხა—50.238 მან. 86 სამი მეოთ. კ. ვ) სათადარიგო—-56.158 მ. 47 კ. და გ) საამორტიზაციო—3.776 მ. 87 კ. სულ 59.946 მ. 17 სამი მეოთხ. კ.

ევკოგრუზი არის შეფი გაზეთ „წითელი-არმიელის“, რომელსაც ყოველ თვიურად აძლევს 100 მან. 1923 წლის მოგებიდან გადასცა დივიზიის პოლიტ სამმართველოს 1061 მანეთი 38 კ. უწევს დახმარებას დივიზიის მუშაობაში შეძლების დაგვარათ თანხების ან საქონელის გადაცემით, უწერავს დივიზიის სხვა და სხვა ნაწილებს 22 ეკზემპლიარ ქართულ კოოპერატიულ ჟურნალებს, საავიაციო ჟურნალების 3 ეგზემპლიარს, გადასცა მათ 214 ცალი კოოპერატიული და პოლიტიკური ხასიათის წიგნები, ბროშიურები და ჟურნალები, აწარმოებს მოხსენებებს კოოპერატიულ თემაზედ ნაწილებში და საინსტრუქტორო ხელმძღვანელობას უწევს ნაწილების მაღაზიებს, ჩატარებულია აგიტაციის მიზნით კამპანია 1923 წლის მუშაობის აღსანიშნავათ, რომლის დროს დაჯილდოვებული იქნა 200 მანეთით დივიზიის 3 ნაწილი, სათანადო თანხა გაიღო ცეკავშირმა და ევკოგრუზმა.

ამიერ-კავკასიის ბონების კურსის დაცემის დროს კოოპერატივმა მიაწყო რეგულიარული მიღება დივიზიის ნაწილებიდან და თანამშრომლებიდან ბონების დღის კურსის მიხედვით, აგრეთვე კოოპერატივს არ შეუსუსტებია იმ პერიოდში სალამოობითი ვაჭრობა, რაც ცხადათ საზარალო იყო. მაგრამ „მაკრატლის“ პრობლემა და რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვდა ამ მსხვერპლს, რაც დაუჯდა კოოპერატივს 6 000 მანეთამდე კურსის განსხვავებით (ზარალი).

კოოპერატივმა 1 იანვრიდან 1 ივნისამდე აწარმოვა სესხი. მოკლე ვადიანი ჯამაგირიდან ჯამაგირამდე პირველი მოთხოვნილების საგნებით ლეგიონის მაღაზიებიდან და გრძელ ვადიანი მანუფაქტურის და ფეხსაცმელის მიწოდებით უნივერსალური მაღაზიებიდან. სულ გაიცა 63.458 მან. 32 ნახ. კაპ. რაც თითქმის სავსებით იქნა თავის დროზედ დაფარული. გამგეობას დიდი სურვილი აქვს შემდეგშიაც აწარმოოს სესხის ოპერაციები, რომელიც დროებით შეწყვეტილია ბაზარზედ საქონლის შეძენასთან დაკავშირებულ პირობების გამო.

კოოპერატივს განაგებს გამგეობა სამი მუდმივად წევრიდან შემდგარი და სარევიზიო კომისიის ერთი მუდმივ მომუშავე წევრი.

კოოპერატივის ორგანიზაცია შეადგენს:

1) უნივერსალური მაღაზიები თბილისში 3 და ქუთაისში 3, სულ—6; 2) ლეგიონის დახურული განმანაწილებელი დუქნები—თბილისში—9, ბათუმში—2, მუხრავანში—1, სულ—12, რომელნიც ჯარის ნაწილებთან ერთად გადიან ბანაკად; 3) ხე-ტყის სახერხავიქარხანა, 4) სამეურნეო მამული; 5) სასადილოები—2; 6) პურის საწყობები—2; 7) ბაღ-ბოსტანი, გარდა ამისა მე-2 დივიზიის ჩამოყალიბებისას გამგეობას გადაწყვეტილი აქვს გახსნას ლეგიონის მაღაზიები ყველა დიდი ნაწილებში.

კოოპერატივის სავაჭროებში 1923 წლის განმავლობაში შემოვიდა 454.458 მან. 68 კაპ. საქონელი, რომელთა შორის 85 ნახ. პროც. შეძენილია კოოპერატიული და სახელმწიფო დაწესებულებებიდან, 10 პროც. შეადგენს ჩვენს ნაწარმოებს და 4 ნახ. პროც. შეძენილია ცალკე ბაზარზე. ამავე დროს განმავლობაში საშუალო შემოსავალი უდრის თვეში 37,817 მან. 55 კაპ.

გაყიდულია ამავე დროს განმავლობაში 165.014 მან. 08 კაპ. საქონელი მათ შორის საზოგადოების წევრებზედ და სახელმწიფო დაწესებულებებზედ (უკანასკნელი უმეტეს ნაწილად ხე-ტყის მასალა)—70 პროც-დე და დანარჩენი 30 პროც-დე არა წევრებზედ საქონლის საშუალო გასავალი 1923 წელს უდრის 13.751 მან. 17 კაპ. თვეში.

1923 წლის მთელი ხარჯები უდრის 7,33 პროც. საერთო ბრუნვისას.

ვ. ბახტაძე.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

ომი და ქიმია

ცხვირის ცემინების გამომწვევი ნივთიერებანი.

სამქლორა დარიშხანა ზეთისმაგვარი სითხეა, მისი ორთქლის სიმკვრივე ჰაერთან შედარებით 6 ჯერ მეტია. სინესტეში იძლევა კვამლს. სამქლორა დარიშხანა შედარებით ნაკლებად შხამიანია. იგი შედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იქნება შემდეგი?

ქ. ლანჩხუთის მაჩხვარეთის კუთხის სამკითხველოსთვის ვიწერ გაზეთ „წითელ-არმიელს“ და ვიწვევ ამხ. ივანე, გიორგი და სიო წილოსნებს, ილია ევკა—ლიდის და მელიტონ გვარჯალაძე.

კურსანტი ივანე წილოსანი.

ფრანგების მიერ ნახმარ „ვინსენიტის“ შედგენილებაში და ამერიკის „ლუიზიტის“ დასამზადებელ მასალათ იხმარება.

ბრძოლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ დარიშხანის ორგანიულ ნაწარმოებთ ეგრედ წოდებულ არსინებს.

გერმანელებმა შემოიღეს ომში ეს ნივთიერებანი, მას შემდეგ რაც მოწინააღმდეგემ გამონახა გერმანელების მიერ ხმარებულ შხამიან აირების გამაბათილებელი საშუალება—აირსაწინააღმდეგო პირბადე. „არსინების“ მოხმარებით გერმანელები ჩვეულებრივ პირბადეებით შეიარაღებულ მტრის ჯარს ახალ გაჭირვებას განაცდენიებდა, პირბადეში მყოფი ჯარის კაცი განმხოლოებული იყო ირგვლივ არსებულ შხამიან აირებისაგან, „არსინებს“ კი აქვთ ის თვისება, რომ მისი წვრილი ნაწილაკები პირბადეში სხლტებიან და შედიან რა ადამიანის ორგანიზმში იწვევენ ცხვირის ცემინებას და გულისრევას, ამ გვარ პირობებში ჩაყენებული მეომარი იძულებულია მოიხსნას პირბადე, რადგან ძალზედ შეწუხებული ელტვის რაიმე საშველი გამონახოს. მოხსნის შემდეგ უფრო უარეს პირობებში ხვდებოდა, ვინაიდან მას შემდეგ რაც გერმანელები ამჩნევდენ პირველ აირის მოქმედებას, მას თან მიაყოლებდენ ხოლმე უფრო შხამიან ნივთიერებას, რომელნიც მუსრს ავლებდა მოწინააღმდეგის დაუცველ რიგებს.

არსინები შედიოდენ გერმანელების „ლურჯი ჯვრის“ ტიპის ყუმბარების შედგენილებაში.

დარიშხანის პრეპარატებიდან ყველაზედ ბევრად გერმანელები დიფენილქლორარსინს ხმარობდენ. პირველად იგი იხმარეს 1917 წელს ენკენისთვეში, დიფენილქლორ არსინი მაგარი ნივთიერებაა. როდესაც ჰაერში იგი თხლადაა გახსნილი იგი იწვევს ცხვირის ცემინებას, ცხვირისა, ყელისა და გულის სასტიკ წვას, თუ უფრო სქლადაა—იწვევს პირის ღებინებას. იგი იხმარებოდა ქიმიურ ყუმბარაში და აგრეთვე შხამიან კვამლის სახით, რომელსაც განსაკუთრებულ აპარატებით უშვებდენ.

დიფენილციანარსინსაც იგივე თვისება აქვს, როგორც დიფენილქლორარსინს.

მეტილქლორარსინი უფერო, მწვავე სუნის სითხეა. წყალში ცოტათი იხსნება, მეტად შხამიანია და ამას გარდა ხვდება რა ტიტველა კანს იწვევს ბებერეების ამობურცვას და იარებს აჩენს.

ეტილქლორარსინიც იმ გვარსავე მოვლენას იწვევს როგორც მეტილქლორარსინი.

არსინების საწინააღმდეგოთ, თავის დასაცავათ ხმარობენ იმავე საშუალებას როგორც ლუიზიტის *) შესახებ იყო ნათქვამი: განსაკუთრებული ფილტრები პირბადეში, ქლორის კირი, პერმაგანატი.

გ. ბ— შვილი

---

*) იხ. „წითელ-არმიელი“ № 538

ახალი ამბები.

კავკასიის წითელ—დროშოვან არმიის პარტ—ორგანიზაციების პარტ-კონფერენცია.

2 ივლისს, სამხედრო სკოლის დარბაზში, გაიხსნება ა. კ. წითელ დროშოვან არმიის მესამე პარტ—კონფერენცია. დაწვრილებითი ანგარიში ხვალ.

— **წითელ არმიელები გზას შეაკეთებენ.** ვინაიდან ქუთაისის—წყალტუბოს გზას დიდი მნიშვნელობა აქვს აგარაკ წყალტუბოსათვის, რომლის შეფათაც ითვლებიან ქუთაისში მდგარი ქართული და რუსული სამხ. ნაწილები, ამიტომ აღნიშნულმა სამხედრო ნაწილებმა განიზრახეს შეაკეთონ ქუთაისი—წყალტუბოს გზა.

— **წიგნები წითელ-არმიელთათვის.** ქუთაისის სამაღმასკომმა შეიძინა ქართულ ენაზე წიგნები და დაურიგა უვადო შვებულებაში წასულ წითელ-არმიელებს.

— **ტრამვაის ბილეთები.** ტრამვაის დირექციამ პოლიგრაფიულ განყოფილებას შეუკვეთა 300.000 წიგნაკი ტრამვაის ბილეთი ქართულ ენაზე.

— **წიგნების მაღაზია ჭიათურაში.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა გადასდო ჭიათურაში წიგნის მაღაზიის მოსაწყობათ 1000 მანეთი.

— **სახლების აშენების საქმე თფილისში.** თფილისში ამჟამად არსებობს 8 საამშენებლო ამხანაგობა, რომლებიც უკვე აწარმოებენ მუშათა საცხოვრებელ ბინების აგების საქმეს.

— **ულუფის მომატება პატიმართათვის ზუგდიდში.** ზუგდიდის სამაღმასკომმა დაადგინა მოუმატოს პატიმრებს ულუფა.

— **ბერების შენობა აბანოსათვის.** სოფ. ხოპის მონასტირის ბერების საცხოვრებელი შენობა ადგილობრივ მოსახლეობის მიერ გადატანილ იქნა აბანოს მოწყობის საჭიროებისათვის.

— **სოც- უზრუნველყოფის საქმე ფოთში.** ფოთში სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილია 2 ომის და 20 შრომის ინვალიდი. 14 ინვალიდი გადაიგზავნა სამშობლოში.

— **ძეგლი მამია გურიელის საფლავზე.** ქუთაისის აღმასკომმა გადასწყვიტა ცნობილი მწერლის მამია გურიელის საფლავზე დადგას უბრალო ძეგლი და მიიღოს ზომები მისი საფლავის დასაცავათ.

— **უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლათ.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა დაზიანებული ვაგონები შეაკეთოს ისე, რომ მათზე შეხტომა-ჩამოხტომა არ შეიძლებოდეს.

— **საბავშო ბაღები სოფლად.** თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა ყველა მაზრებში გახსნას საბავშო ბაღები გლეხების ბავშთათვის.

— **ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ტრამვაის ხაზი გააგრძელოს ლოტკის ქუჩამდე (ნაძალადევში).

— **დავალიანება დამზღვევი კასისადმი.** სხვა და სხვა დაწესებულებების დავალიანება დამზღვევი კასისადმი უდრის 128.335 მანეთს.

სასოფლო მეურნეობა.

რა არის თესლი და როგორ უნდა შეინახოთ იგი.

უკვე დადგა ზოგიერთ საადრეო ბოსტნეულის შეგროვების დრო. ამიტომ ყოველმა მეურნემ უნდა იცოდეს რა არის თესლი და როგორ უნდა შეინახოს იგი. თესლი მცენარის არსებობის გამაგრძელებელი და გასამრავლებელი საშუალებაა. ის ისეთი აგებულებისაა, რომ მცენარეზე უფრო კარგათ იტანს სხვა და სხვა ცუდ ბუნებრივ პირობებს. სხვა და სხვა მცენარე სხვა და სხვა რაოდენობის თესლს იძლევა. მაგ. ზოგი გარეული მცენარე ათი-ათასამდე და მეტ სათესლე მარცვალს ჰფანტავს თავის ირგვლივ. ამ შემთხვევაში თესლი მცენარის თვითდაცვის საშუალებაა ცუდ ბუნებრივ პირობების წინააღმდეგ. მცენარე ცდილობს რაც შეიძლება მეტი თესლი დაჰფანტოს, რომ ნაწილმა მაინც გაიხაროს და ამოვიდეს.

რისგან შესდგება თესლი?

თესლი შესდგება კანისაგან, საკვებ ნივთიერებათა მარაგისაგან და მცენარის ნასახისაგან. მაშასადამე თესლი ცოცხალი არსებაა და ამიტომ ფაქიზ და კარგ მოვლას მოითხოვს.

როცა თესლი ამოსვლისთვის ხელსაყრელ პირობებში მოხვდება ღვივდება და იწყებს აღმოცენებას. თესლის ნასახი იკვებება მის გარშემო მყოფ საკვების მარაგით და იწყებს ზრდას: უშვებს ფესვებს, ღეროს და ამრიგათ გამოდის დიდი მცენარე. რაც უფრო კარგ პირობებში მოხვდება თესლი მით უფრო ჩქარა ღვივდება და მალე იზრდება. შენახვის დროს კი სწორეთ ასეთი პირობები უშლიან ხელს თესლის ხანგრძლივათ შენახვას. ამიტომ შესანახავი თესლი ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ ის არ გაღვივდეს ან მისი ნასახი არ მოკვდეს, ამისათვის საჭიროა გრილი, მშრალი და სუფთა ოთახი. ეს პირობები განსაკუთრებით უნდა დაიცვან დასავლეთ საქართველოს მეურნეებმა, რადგან იქ ზოგჯერ ზამთრის დღეები ძლიერ თბილი იცის და თესლს ადვილათ შეუძლია გაღვივება.

ამასთანავე თესლი უნდა დავიცვათ მავნე მწერებისა და სოკოებისაგან. ესენი ხშირათ აფუჭებენ თესლის კანს ან ნასახს ჰკლავენ. ყოველი სათესლე მარცვალი ერთნაირ მცენარეს არ მოგვცემს. უფრო დიდი კარგი ფერის და საღი მარცვალი უკეთეს მცენარეს იძლევა, ვიდრე პატარა და ცუდი ფერის. ამიტომ შესანახავათ ყოველთვის კარგი და დიდი მარცვლები უნდა გადავარჩიოთ.

მეურნე.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი საშუალება ჭლექის წინააღმდეგ.

დანიის ცნობილმა ფიზიოლოგმა მელგარდიმ საგრძნობლად გააუმჯობესა მის მიერ აღმოჩენილი ჭლექის საწინააღმდეგო პრეპარატი.

ეს ახალი საშუალება, რომელსაც მელგარდიმ „აუსოციდინი“ უწოდა მეტად ხელსაყრელი სასარგებლო შეიქნა. პრეპარატი პირველად იქნა გამოყენებული კლინიკებში. არავითარი ცვლილების შეტანა არ დასჭირვებიათ მასში. ძლიერ ძნელი შეიქნა პირველად განსაზღვრული დოზის გამომუშავება. აქ იგულისხმება ლითონის მარილის შესახებ, რომელიც პრეპარატის—წამლის შემადგენლობაში შედის და ძლიერი საწამლავია.

სწორედ ეს საწამლავია, რომ ანადგურებს ჭლექის ბაცილებს.

კლინიკურმა მკურნალობამ ამ პრეპარატით მეტად საყურადღებო შედეგები მოიტანა. პირველ საფეხურის ტუბერკულიოზიანი ხალხი სრულიად განიკურნენ. აგრეთვე ადვილად რჩება ამ პრეპარატით თირკმლების ჭლექიც.

ახალი რადიო სადგური.

ინგლისში ქალაქ ბირნიმტამის ახლოს რეგბში აშენებენ უზარმაზარ რადიო სადგურს. ეს უდიდესი რადიო სადგური იქნება აქამდე არსებულ სადგურებზე. ახალი რადიო სადგურით შეიძლება დედა-მიწის ყოველ კუთხესთან კავშირის დაჭერა.

გადატრიალება რადიო ტელეგრაფში.

ლონდონში არსებული მარკონის საზოგადოება იტყობინება, რომ უკანასკნელმა აღმოაჩინა და შეიმუშავა რადიო ტელეგრაფის ახალი სისტემა რომელიც გამოიხატება მოკლე რადიო ტალღების გამოყენებაში. ამ ჟამად ხმარებულ გრძელი რადიო ტალღების მაგივრად, რომლის მოპოებას დიდი შრომა და ხარჯები სჭირდება, შეიძლება გამოყენებული იქნეს მოკლე რადიო ტალღები. როგორც ცნობილია ტალღების სიგრძე დამოკიდებულია გადამგზავნ სადგურის სიძლიერეზე. იტყობინებიან, რომ ახალი სისტემა ათჯერ ამცირებს ხარჯებსო.

უმავთულო ტელეგრაფით სარგებლობა ერთობ ძვირი ღირს, თუმცა რადიო სადგურის აგება გაცილებით უფრო იაფი ჯდება ვიდრე კაბელებისა და მავთულების გაყვანა.

მოკლე რადიო ტალღების სარგებლობის დროს შესაძლებელი ხდება მათი თავის მოყრა ამოზნექილი სარკეების შემწეობით და მათი განსაზღვრული მიმართულებით გაშვება.

გრძელი ტალღებით კი ასეთი კომბინაცია შეუძლებელია. ამ ჟამათ რადიო ტალღები ვრცელდებიან ყოველი მიმართულებით—ეს ერთი მხრივ ღირსებაც არის და ნაკლიც. მოკლე ტალღების გავრცელება კი როგორც სჩანს შეიძლება ერთი მიმართულებით.

(დასასრული იქნება)

შეიხ.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. დაუნდობელს. თქვენი წერილი „რა მოხდა ცხენოსან ლეგიონში 29 ივნისს“ გადაეცა დივიზიის პარტკომისიას, ხოლო წერილის ასლი კი სამხედრო პროკურორს.

ამხ. მონიავას. თქვენი წერილი „ბორჯომის რაი აღმასკომის საყურადღებოთ“ არ გავა. დაგვიანებულია.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით პასუხი გავსცე „წკრიალას“.

ამხ. „წკრიალავ“ „წითელ არმიელის“ № 527-ში წავიკითხე ჩემდამი მომართული თქვენი წერილი და მართალი გითხრათ, ცოტა კიდევაც გამიკვირდა. ნუ თუ არ შეიძლებოდა თქვენ მიერ წერილში აღნიშნულ ფაქტის მიზეზების გაგება აქვე და ამით დაკმაყოფილება?!

განა თქვენ არ იცით, რომ ჩვენს ლეგიონს საოჯახო ულუფის მიმღებნი დაბანდული ყავთ ბორჯომიდან თელავამდე და ალბულაღიდან დუშეთამდე?! რაც შეეხება სიების დაბრუნების დაგვიანებას, თქვენ კარგათ მოგეხსენებათ ამის მიზეზი—მოლარეს, რომ ძმა მოუკვდა და ამ მიზეზით ის განთავისუფლებული იყო სამი დღით, რამაც გამოიწვია ამ საქმის დაყოვნება.

სიების თავის დროზე შედგენას, ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ სიებში „მკვდარი სულები“ და ხშირად განზრახ ყალბი ცნობებია, რაც შემოწმებას მოითხოვს. შემდეგ ამისა, თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ფულის გამოწერა და მიღება თავის დროზე არაა მარტო ჩემზე დამოკიდებული და მაშასადამე მარტო მე ვერც ვიქნები თავის დროზე ჯამაგირების დარიგებისათვის პასუხისმგებელი.

და ასეთ პირობებში ჯამაგირის დაგვიანება ოთხი დღით, მე მგონი, არაა მიუტევებელი დანაშაული.

ამ დამაბრკოლებელ მიზეზების შესახებ თქვენ მოგეხსენებოდათ, მიუხედავათ ამისა თქვენ მაინც მოათავსეთ გაზეთში შენიშვნა, რაც ისე უნდა გავიგოთ რომ თქვენ დიდი სურვილი გქონიათ წერის და ზედმეტ ლაპარაკის.

1 დივ. 1 ლეგ. სამნეო ნაწ. უფროსი: **ვ. ხუციშვილი.**

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ც. საკავშირო ასეულიდან სამხ-კოოპ. დროებითი საწევრო ბარათი და უნივერსიტეტისგან მოცემული მოწმობა ალექსანდრე ვიქტორისძე იოსელიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ნ. დ. . ც.
ტირაჟი 1000
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.
პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.